

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს კანონის პროექტზე

„სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონების განკარგვის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონების განკარგვის საკითხების სრულყოფილად, საკანონმდებლო დონეზე დარეგულირების აუცილებლობა.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი:

კანონპროექტის მიზანია სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონების განკარგვის ერთიანი, ეფექტური მექანიზმის შექმნა, რაც უზრუნველყოფილი იქნება საკითხის მარეგულირებელი დებულებების თავმოყრით ერთ კანონში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით, სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების რეალიზაციას მოახდენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო.

ამასთან, კანონპროექტი განსაზღვრავს სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების განკარგვის ფორმებს, კერძოდ: ა) რეალიზაცია ღია აუქციონის საშუალებით; ბ) რეალიზაცია პირდაპირი მიყიდვის ფორმით (ერთ პირთან მოლაპარაკების მეთოდით და სავაჭრო ობიექტების საშუალებით); რეალიზაცია მესამე პირის მეშვეობით; დ) ქონების განაწილებით და ე) ქონების განადგურებით.

კანონპროექტით რეგულირდება ასევე სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებული საკითხები თუ ვინ უნდა განკარგოს ასეთი ქონება, განსაზღვრულია, რომ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე. სასამართლო წყვეტს ასეთი ქონება განკარგოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ თუ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

გამომდინარე იქიდან, რომ კანონპროექტით გათვალისწინებულია სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების რეალიზაციის ეფექტური მექანიზმები, კანონპროექტის მიღება ხელს შეუწყობს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ფინანსურ შედეგებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

მათ მონაწილეობა არ მიუღიათ კანონპროექტის შემუშავებაში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში: კანონპროექტი არ ყოფილა წარდგენილი ექსპერტებისათვის.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა